აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭო

BOARD OF REPRESENTATIVES OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59 ტელ: (+995 431 244778) ფაქსი (+995 331) 24 38 33
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი ელ. ფოსტა atsu@atsu.edu.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირის –

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება

№ 112

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულების, სტრუქტურისა და ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

ქ. ქუთაისი **18 მაისი 2017 წ.**

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულება, სტრუქტურა და ბიუჯეტი წარმოდგენილი სახით.

2. დადგენილება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი: **პროფ. სულხან კუპრაშვილი**

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი (შემგომში - ცენტრი) ფუნქციონირებს ყოველწლიური პროგრამული დაფინანსებით. ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

1.2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებით, უნივერსიტეტის წესდებით და წინამდებარე დებულებით.

1.3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე, ასრულებს კანონით მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობის სფერო, მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

2.1. ცენტრის დანიშნულებაა საფუძვლიანად შეისწავლოს და წარმოაჩინოს უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის სათანადოდ შეუსწავლელი და დღემდე უცნობი საკითხები.

ცენტრი არ შემოიფარგლება მხოლოდ ქართული ემიგრაციის ისტორიით და მისი შესწავლის საგანი ასევე გახდება როგორც ისტორიული ავბედობის გამო უცხო ქვეყნების (თურქეთი, ირანი და ა.შ) ბინადრებად ქცეული ჩვენი წინაპრების ისტორიული ყოფა და კულტურული მემკვიდრეობა, ასევე ისრაელსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში დამკვიდრებული ქართველ ებრაელთა ურთიერთობა საქართველოსთან და მათი როლი ქართული კულტურის ისტორიაში.

მუხლი 3. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

3.1. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტრუქტურა მოიცავს:

- ცენტრის ხელმძღვანელის ოფისს (ცენტრის ხელმძღვანელის თანაშემწე; ცენტრის ხელმძღვანელის ოფისის მენეჯერი)
- შემდეგ კვლევით მიმართულებებს:

ა) ქართული ემიგრაციის ისტორია და კულტურა;

ბ) თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ისტორია და კულტურული მემკვიდრეობა;

გ) ირანის ისლამურ რესპუბლიკაში (ფერეიდანში) მცხოვრებ ქართველთა ისტორიული ყოფა და კულტურა;

დ) ისრაელსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში დამკვიდრებულ ქართველ ებრაელთა ურთიერთობა საქართველოსთან და მათი როლი საქართველოსა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

3.2. ცენტრის საქმიანობას წარმართავს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც ამ თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

3.2.2. ცენტრის ხელმძღვანელი:

ა) წარმართავს ცენტრის მუშაობას უნივერსიტეტის წესდებისა და ცენტრის დებულების შესაბამისად.

ბ) აძლევს შესაბამის მითითებებსა და დავალებებს ცენტრის თანამშრომლებს.

გ) ცენტრის თანამშრომელთა დისციპლინური (ან სხვა სახის) გადაცდომისას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე სვამს საკითხს სათანადო ღონისძიების გატარების შესახებ.

დ) წარმოადგენს ცენტრს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან, ფაკულტეტებთან და სხვა სამსახურებთან.

ე) უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.